

၉၈၈၅၆၅



ჰენრი მილერი

# კირჩხიბის ტროპიკი

დოქტორის  
ბიბლიოთეკა

ჰენრი მილერი  
კირჩხიბის ტროპიკი

Henry Miller  
TROPIC OF CANCER

ინგლისურიდან თარგმნა თამარ ჯაფარიძემ

რედაქტორი: ლალი ქინჭარაული  
დამკაბადონებელი: ნინო გურული  
ყდის დიზაინერი: გიორგი ბაგრატიონი

გარეკანზე: ალფრედ შტიგლიცი, „დოროთი თრუ“, 1919

© 1934 Obelisk by The Estate of Henry Miller  
All rights reserved.

© გამომცემლობა „დიოგენე“, 2012, 2025  
ყველა უფლება დაცულია.

ISBN 978-9941-11-888-3

[www.diogene.ge](http://www.diogene.ge)

„ასეთი რომანები თანდათან გზას გაუკვალავს დღიურებსა და ავტობიოგრაფიებს – ყველაზე ამაღელვებელ და საინტერესო წიგნებს. მთავარია, ადამიანმა იცოდეს, რა ამოარჩიოს ეგრეთ წოდებული პირადი გამოცდილებიდან და როგორ დაწეროს სიმართლე“.

*რალფ უოლდო ემერსონი*



ვილა ბორგეზეში ვცხოვრობ. გარშემო ყველაფერს წკრიალი გაუდის, მტვრის ნასახსაც ვერსად ნახავთ. ერთი სკამიც კი არ დგას უადგილო ადგილას. აქ მარტონი ვართ და ცოცხლებში აღარ ვწერივართ.

წუხელ ბორისმა აღმოაჩინა, რომ ტილები დასეოდა. მისთვის ილღიების გაპარსვა მომიწია, მაგრამ ქავილს მაინც ვერაფერი მო-  
უხერხეთ. ვერ გამიგია, ასეთ ზღაპრულ ადგილას როგორ უნდა დატილიანდეს კაცი? ეჰ... მოკლედ, როგორც არის, რა... ისე, ეგ ტილები რომ არა, მე და ბორისი ასეთი ახლობლები ვერ გავხდე-  
ბოდით.

ბორისმა, ეს-ესაა, საკუთარი პროგნოზი გამანდო – ამინდს წი-  
ნასწარმეტყველებს ხოლმე. ცუდი ამინდი კარგა ხანს გასტანსო, ამბობს. საშინელი ძნელბედობა, უფრო მეტი სიკვდილიანობა და უკიდურესი სასწრაფოთილება გველისო. სასიკეთო ცვლილებე-  
ბის ნიშანწყალიც არსად ჩანსო. დრო-ჟამის კიბო ყველგან მოგვე-  
დო და ერთიანად გვხრავსო. ჩვენი გმირები ან უკვე შეეწირნენ ამ ყველაფერს, ან ახლა ეწირებიანო; მოკლედ, გამოდის, რომ ახლა დრონი კი აღარ მეფობენ, არამედ უდროობაო. დროის ფეხის ხმას უნდა მივდიოთო, იმ დაბოროტი ფეხის ხმას, სიკვდილმისჯილთა საკნისკენ რომ მიგვიძღვისო. ამას ვერ გავექცევით, ჩვენკენ ამინდი არ შეიცვლება, მგონი, აღარასოდეს გამოიდარებსო.

უკვე მეორე შემოდგომაა, პარიზში ვარ. აქეთ რა ქარმა გად-  
მომავდო, ახლაც არ ვიცი.

არც ფული გამაჩნია, არც დანაზოგი და არც იმედი. მოკლედ,  
ჩემზე ბედნიერი კაცი არ დადის ქვეყანაზე. ერთი წლის თუ ექვსი  
თვის წინ ვფიქრობდი, მწერალი ვარ-მეთქი. ახლა აღარ ვფიქრობ,  
უბრალოდ, ვარ. ყველაფერი, რაც ლიტერატურასთან მაკავშირებ-  
და, ნელ-ნელა შემომეძარცვა. მადლობა ღმერთს, წიგნების წერა  
აღარც არის საჭირო.

მაშ, ეს რაღაა, რასაც ახლა ვწერ? რა და ქილიკი, ცილისწამება,  
გმირის განქიქება. მოკლედ, წიგნი, ამ სიტყვის კლასიკური გაგებით,  
არამც და არამც არ ეთქმის. წიგნის გარდა ყველაფერია – საზიზ-  
ღრობა, უსაშველოდ დიდი შეურაცხყოფა, ხელოვნებისთვის შეფურ-  
თხება, ტრაკში ამორტყმული წიხლი თვით შემოქმედისთვის, ადა-  
მიანისთვის, ბედისწერისთვის, დრო-ჟამისათვის, სიყვარულისთვის,  
მშვენიერებისთვის – ნებისმიერი რამისთვის, რაც თავში მოგივთა!..

გიგალობოთ მინდა. ეგებ ცოტა უსმენოდაც, მაგრამ მაინც გიგა-  
ლობებთ. მე გიგალობებთ, ვიდრე თქვენ ხრიალით ამოგდით სული,  
და მერე დავლურსაც დავუვლი მაგ თქვენს აყროლებულ გვამებზე.

რომ იგალობო, პირის გაღება უნდა შეგეძლოს. ერთი წყვილი  
ფილტვიც საჭიროა მაგ საქმისათვის და ცოტა მუსიკაშიც უნდა  
ერკვეოდე. მთავარი ის კი არ არის, აკორდეონი ან გიტარა გაქვს  
თუ არა, მთავარი *სურვილი* და *მონდომებაა*. მოკლედ, ეს საგალო-  
ბელია, ანუ მე ახლა ვგალობ.

შენ გიგალობ, ჩემო მშვენიერო ტანია! ნეტავ უკეთ შემეძლოს  
გალობა, უფრო მელოდიურად. მაგრამ მაშინ ნაღდად არ მომისმენ-  
დი. მგალობელი სხვაც ბევრი გინახავს, მაგრამ გულგრილი დარ-  
ჩენილხარ. ეტყობა, შენთვის ზედმეტად ტკბილად გალობდნენ, ან  
არასაკმარისად ტკბილად გამოსდიოდათ.

ოცდარაღაცა ოქტომბერია. დღეები მერევა, დროის შეგრძნება,  
რა ხანია, დავკარგე. მგონი, ბოლო სიზმარი თოთხმეტ ოქტომბერს  
ვნახე, არა? ჰო, რა, რა ვიცი... სიზმარსა და სიზმარს შუა მეხსიერე-  
ბის ჩავარდნები მაქვს ხოლმე, გონება დამიქუცმაცდა და უაზროდ



მეფანტება. გარე სამყარო თითქოს ხელში მადნება და მხოლოდ აქა-იქ ტოვებს დროის გადღაბნილ ლაქებს. სამყარო კიბოდ იქცა და საკუთარ თავს თავადვე ხრავს... როცა გარშემო სრული სიჩუმე გამეფდება და ყველაფერს დუმილი მოიცავს, მაშინ დადგება ჭეშმარიტი მუსიკის დიადი გამარჯვების ჟამი. როცა დრო ყოველივეს უკანვე შეისრუტავს საკუთარ საშოში, ქაოსი აღდგება და სწორედ ქაოსი იქნება რეალობის იდეალური პარტიტურა; მაგ პარტიტურის მიხედვით უნდა იგალობოს კაცმა. ჩემი ქაოსი შენა ხარ, ტანია. ამიტომაც მეგალობება ახლა. კაცმა რომ თქვას, მე კი არა და, მომაკვდავი სამყარო გალობს, სიბერის ქერტლი და დრო-ჟამის ტყავი რომ სძვრება ნელ-ნელა. მე ჯერაც ცოცხალი ვარ, შენს საშოში ვსხმარტალებ, და სწორედ ამ სინამდვილეზე ვაპირებ წერას.

ჩამთვლიმა. სიყვარულის ფიზიოლოგია. მიძინებული ვეშაპი ექვსფუტიანი პენისით. ღამურა – *penis libre*. რქოვანპენისიანი ცხოველები. ეტყობა, აქედან მოდის სიტყვა *რქიანი*... „საბედნიეროდ, – ამბობს გურმონი, – ადამიანი რქოვანი საფარისაგან გათავისუფლდა“. ბედნიერებაა ესა? დიახაც! აბა, წარმოიდგინეთ, ადამიანთა მთელი მოდგმა რქებდადგმული რომ დადიოდეს!.. კენგურუს წყვილი ყლე აბია – ერთი ყოველდღიური და ერთიც პონტისთვის... ისევ ჩამთვლიმა. წერილი ვინმე დიაცისაგან, რომელიც მეკითხება, ნაწარმოებს სათაური თუ შეურჩიეთო... რაო? სათაურიო? შევურჩიე, აბა რა – „ტურფა ლესბოსელები“.

*თქვენი ანექდოტური ცხოვრება!* ბატონი ბოროვსკის ფრაზა გახლავთ. ოთხშაბათობით ბოროვსკისთან ვსადილობ ხოლმე. ამ საქმეს მისი მეუღლე თაობს – დამშრალ ძროხასავით დედაკაცი. ინგლისურ ენას სწავლობს და მისი საყვარელი სიტყვაა *filthy*, რაც „ბინძურს“, „ამაზრზენსა“ და „გულის ამრევს“ ნიშნავს. ხომ წარმოგიდგენიათ, როგორი ტრაკში პალოა მაგ ბოროვსკებთან ურთიერთობა?! მაგრამ ჯერ სადა ხართ...

ბოროვსკი ხავერდის პიჯაკებს იცვამს და აკორდეონზე უბერავს. ჭეშმარიტად მტკიცე ერთიანობაა. მით უმეტეს, თუ იმასაც გაითვალისწინებთ, რომ ცუდი მხატვარი არ არის. პოლონელი ვა-

რო, იბრალებს, მაგრამ, ცხადია, ტყუის. ებრაელი ბოროვსკია და მამამისი ფილატელისტი იყო. სინამდვილეში, ყველა მონპარნასელი ებრაელია ან ნახევრად ებრაელი, რაც ბევრად უარესია. კარლი და პოლა, კრონშტადტი და ბორისი, ტანია და სილვესტერი, მოლდორფი და ლუსილი – ყველა ებრაელია, ფილმორის გარდა. ჰენრი ჯორდან ოსვალდიც ებრაელი აღმოჩნდა. ლუი ნიკოლსიც ებრაელია. ვან ნორდენი და შერიც ებრაელები ყოფილან. ფრენსის ბლეიკიც კი ურიაა, ან ურიელა. ტიტუსიც ებრაელია. ებრაელების ცვენაა ჩემ გარშემო. ამას ჩემი მეგობარი კარლისთვის ვწერ, რომელსაც მამა ჰყავს ებრაელი. ამ ყველაფრის ხაზგასმა ძალიან მნიშვნელოვანია.

ყველაზე მშვენიერი ებრაელი მაინც ტანიაა. მისი ხათრით, მეც ებრაელი გავხდები. ჰო, რა იყო, რო? ისედაც უკვე ებრაელივით ვლაპარაკობ და ებრაელივით მახინჯი ვარ. ესეც რომ არა, ებრაელი ებრაელზე მეტად ვის სძულს?

სალამოს ბინდი. ინდური ლაჟვარდი, ჭიქა წყალი და შიგ ალივ-ლივებული წყალწყალა ხეები. ლიანდაგი შორს მიცოცავს, ჟორესის არხამდე. ზედ უგრძესი, ლაქგადასმული მუხლუხი გორგოლაჭებიან ურიკასავით მიგორავს. აქაურობა არც პარიზია და არც – კონიაილენდი, უბრალოდ, ევროპისა და ცენტრალური ამერიკის ყველა დიადი ღამეული ქალაქის ნაზავია. ქვემოთ ვაგონშემკეთებელი საამქრო მოჩანს, ჩაშავებული ბილიკების ერთმანეთში აბურდული ქსელებით. ბილიკები ინჟინრის დაგეგმარებული არ უნდა იყოს; ალბათ, უფრო სახელდახელო, კატაკლიზმური დიზაინითაა დაგებული და პოლარული ყინულის იმ მუქ ბზარებს წააგავს, ფოტოკამერა შავი ფერის გრადაციებით რომ აღბეჭდავს ხოლმე.

თოხლაობა – აი, რა მანიჭებს ქვეყნად ყველაზე დიდ სიამოვნებას! ამ ჩვენს საუცხოო ვილა ბორგეზეში პურის ნამცეცი რაა, იმასაც ვერ იპოვის კაცი. რა საშინელებაა! ბორისს ასჯერ მაინც ვთხოვე, საუზმისათვის პური შეუკვეთე-მეთქი და ერთხელაც არ გახსენებია. ეგ უსინდისო თვითონ შინიდან გადის და გარეთ სკდე-

ბა. როცა ბრუნდება, კბილებს იჩიჩენის და ცანცარა წვერიც კვერცხის ნამცეცებით აქვს ხოლმე სავსე. ჩემ გამო ჭამს თურმე რესტორანში; თურმე ვაჟბატონს ერიდება, ჩემ თვალწინ თავად დიდი ულუფა ჩახეთქოს და მე ნერწყვი ვყლაპო.

ვან ნორდენისადმი კარგად ვარ განწყობილი, მაგრამ თავის თავზე მის წარმოდგენას ვერ ვიზიარებ. მაგალითად, ვერაფრით დავეთანხმები, რომ ფილოსოფოსია ან თუნდაც მოაზროვნე. მე თუ მკითხავ, ერთი სანყალი, მუტელში ჩარჩენილი ყლეა და მეტი არაფერი. მაგისგან მწერალი ვერ დადგება. სილვესტერიც ვერ გვახარებს, თუმცა მისი გვარ-სახელი 50 000-სანთლიანი წითელი ნათურებით გამოყვანილი ასოებითაა აბდღვრიალებული. ჩემს თვალში და ჩემ გარშემო ამჟამად მხოლოდ კარლი და ბორისი არიან მწერლები. ორივე შეპყრობილია, შიგნიდან ვარვარებენ თეთრი ნათებით. ნამდვილი გიჟები არიან, მაგრამ მუსიკალური სმენით ვერ დაიკვეხნიან. მოკლედ, მარტვილობენ.

მოლდოროფიც მარტვილობს თავისებურად, მაგრამ გიჟი არ არის. უბრალოდ, სიტყვების ლოთია. არც ვენები აქვს, არც სხვა სისხლძარღვები, არც გული და არც თირკმლები. ერთი პორტატული განჯინაა, უთვალავი უჯრით, რომლებშიც სხვადასხვა ფერის მელნით დაწერილი იარლიყები ყრია: ყავისფრით, ალისფრით, თამბაქოსფრით, ნარინჯისფრით, ვარდისფრით, ფირუზისფრით, სალათისფრით, ნაცრისფრით, ვერცხლისფრით, ოქროსფრით, რუხით, მენამულით, ჟღალით, წითლით, ლურჯით, თეთრით, ყვითლით...

საბეჭდი მანქანა მეორე ოთახში გავიტანე და სარკის წინ დავდგი. მინდა, წერისას საკუთარი გამოსახულების ცქერა შემეძლოს.

ტანია ირენს ჰგავს. სულ მსუქან-მსუქანი წერილების მოლოდინშია. თუმცა მეორე ტანიაც არსებობს; ტანია, რომელიც დიდი, გაფურჩქნილი ყვავილივით უშურველად აფრქვევს გამანაყოფიერებელ მტვერს აქეთ-იქით; ან, ვთქვათ, ტოლსტოის ნაწარმოების ფრაგმენტია, საჯინიბოს სცენა, სადაც ახალშობილის საფლავს თხრიან. ტანია ნამდვილი ხურუშია, ციებ-ცხელებაა, ჩაფსმაა, კაფე დე ლა ლიბერთია, კიდეც – ვოგეზთა მოედანი, მონპარნასის ბულ-

ვარზე აფრიალებული ქრელაქრულა ჰალსტუხები, ჩაბნელებული ფეხსადგილი, მშრალი პორტვინი, სიგარეტი „აბდულა“, პათეტიკური სონატის ადაჟიო, მეგაფონი, ანეკდოტების სეანსი, რძისფერი ძუძუები, ქალის წინდის მაქმანიანი სამაგრები (რომელი საათია, ნეტავ?), ოქროსფრად დაბრანული და ნაბლით დატენილი ხოხობი, ტაფტის ხელთათმანი, დანისლული მიმწუხრის ჟამი ღამეში გადაღვენთილი, აკრომეგალია, ავთვისებიანი სიმსივნე და ბოდვა, თბილი პლედი, პოკერის ჩიპები, სისხლით დაღაქავებული ხალიჩა და ფუმფულა ბაყეები! ტანია ხმამაღლა, ყველას გასაგონად ამბობს: „მე ის სიგიჟემდე მიყვარს!“ და ვიდრე ბორისი ჯიგარს ვისკით იფუფქავს, ნაზად მიმართავს:

– აქ დაბრძანდით! ღმერთო ჩემო, ბორის... რუსეთი... რა ვქნა? დღესაც ამით ვსულდგმულობ, გრძნობები მახრჩობს!

ღამღამობით, როცა ბალიშზე ბორისის ცანცარა წვერს დავლანდავ, ისტერიკა მემართება. ვაი, შენ, ჩემო თავო! სადა ხარ, ტანია? სად არის შენი თბილი ფუჩუნები? შენი წინდების მაქმანიანი სამაგრები? ის შენი ფუმფულა ბაყეები? პენისი ექვსფუტიანი გამიხდა და გამირქოვანდა. ფეხებს შუა რაც ნაკეცი და ნაოჭი გაქვს, ყველას გადაგისწორებ, საყვარელო, ყვავილივით გადაგფურჩენი და დაგმტვერავ, და იმ შენს სილვესტერთან მუცელატიკივებულს და საშოამობრუნებულს გაგიშვებ... შენი სილვესტერი! კი, მაგ შენს სილვესტერს გულში კოცონის დაგიზგიზება მართლაც ეხერხება, მაგრამ შიგნეულს მაინც მე გიშანთავ, გავარვარებული ლავის შხეფებს გაფრქვევ და საკვერცხეებს გიფუფქავ. ეჭვიანობს, არა? რა-ღაცას ხედება? მიხედება, აბა, რა იქნება, ჩემი უზარმაზარი ასოს ნაკვალევს ხედავს შენს სარცხვინელში; მაგ შენს გადასწორებულ სარცხვინელსა და გადახნულ უკანალში. ჩემთან ყოფნის მერე შეგიძლია, ულაცთან ინერაო, ბუღასთან, ვერძთან, იხვთან ან თუნდაც სენ ბერნართან; შეგიძლია გომბეშოები, ღამურები და ჯოჯოები გაითხარო უკანალში. ჩემთან ყოფნის მერე შენი კუჭში გასვლა არპეჯიოს ჩარაკრაკებას დაემსგავსება. რუმბივით გაგხდი და მერე მაგ შენს ღამაზ ჭიპზე შეგიძლია გიტარის სიმები დაჭიმო. იცო-

დე, ტანია, როცა მე გარჯობ, გულით გარჯობ და ბოლომდე გარჯობ! და თუ იმაზე ღელავ, რომ საჯაროდ არ გეცე დასარჯობად, მაშინ მოფარებულში დაგარჯობ, შენს ბოქვენზე ამობიბინებული ღინღლის რამდენიმე ღერსაც ამოგპუტავ და აგერ, ბორისს დავაკრავ ნიკაპზე; მერე ამოპუტულ ადგილზე დაგეკონები და პირიდან ორფრანკიან მონეტებს გადმოვყრი...

ინდიგოსფერი ცა, სავსებით უღრუბლო. შავლეგა ხეების უსასრულო რიგი. ხეებს ტოტები ერხევათ და მთვარეულებს ჰგვანან. ჩამუქებული, სიგარის ფერფლივით რუხი ხეების იდუმალი აჩრდილები. უზენაესი, ჭეშმარიტად ევროპული სიჩუმე. დახურული დარბები და მაღაზიების ჩარაზული, ცხაურიანი კარები. აქა-იქ, პაემნის ადგილებში მბჟუტავი წითელი ლამპრები. შენობათა მჭახე, ხალასი ფერის ფასადები – ალაგ-ალაგ დაცემული ხის ჩრდილები რომ არა, ლამის ქალწულებრივად შეურყვნელი. ორანჟერეას რომ ჩავუვლი, სულ სხვა პარიზი მახსენდება: მოემის პარიზი, გოგენისა და ჯორჯ მურის პარიზი. იმ საშინელ ესპანელზე ვინცებ ფიქრს, რომელმაც მაშინ მთელი მსოფლიო დაზაფრა სტილიდან სტილზე აკრობატული ნახტომებით. შპენგლერსა და მის შემადრწუნებელ გამონათქვამებზე ვფიქრობ და მაინტერესებს, იმ გრანდიოზულმა სტილმა ამოწურა თუ არა თავისი შესაძლებლობები... კი გეუბნებით, რასაც ვფიქრობ, მაგრამ ვტყუი. ამ ყველაფერზე ფიქრს მოგვიანებით დავინწყებ – სენას რომ გადავჭრი და სინათლეების ფერადოვან მეჯლისს თავს დავაღწევ. მხოლოდ მაშინ მივცემ საკუთარ თავს იმის უფლებას, ასეთ აზრებს შეეთამაშოს. ამ წამს კი მხოლოდ ის მეფიქრება, რომ მგრძნობიარე არსება ვარ და გულში დანასავით მესობა იმ წყლების გრძნეულება, რომლებიც ახლა, პირდაპირ ჩემ თვალწინ, დავინწყებულ სამყაროს ირეკლავენ. მთელი სანაპიროს გასწვრივ ჩამწკრივებული ხეები ამ წყლების დაბინდული სარკისკენ იხრებიან და შიგ იყურებიან. ქარი რომ ამოვარდება, შრილა ბუტბუტით ამოიდგამენ ენას; თან ცრემლებსაც გადმოყრიან და ცოტასაც გააჟრჟოლებთ მორევად დაბზრიალებული წყლის შემყურეთ. ეს ყველაფერი მახრჩობს, გრძნობა ყელში

მებჭინება. გარშემო კი არავინაა, ვისაც თუნდაც ფრაგმენტულად გავუზიარებდი ჩემს განცდას...

ირენის უბედურება ის არის, რომ ჩემოდანივით მუტელი აქვს; დაუსრულებლად უნდა ტენო და ტენო მსუქან-მსუქანი, avec des choses inouies<sup>1</sup> წერილებით. აი, ლონა სულ სხვა იყო. ლონა, შეიძლება ითქვას, თავად ბრძანდებოდა ერთი დიდი მუტელთ მუტელი! ამას მაშინ მივხვდი, როცა, კულუღს რომ უგზავნიან ხოლმე, ისე გამოგვიგზავნა საკუთარი ფაჩრის რამდენიმე ღერი. ლონა ნამდვილი პირუტყვი იყო, ველად გაჭრილი სახედარი; ამძუნებულები დარბოდა აქეთ-იქით სიამოვნების ძიებაში. ერთი ფერდობი არ გაუშვია, იქვე რომ არ აეშვირა ფეხები; არც სატელეფონო ჯიხურებსა და ფეხსალაგებს თაკილობდა. ჩემს მეფე კეროლს სანოლი და მისივე ინიციალებიანი საპარსი თასი შეეუძინეო, ამბობდა. ლონდონში, ტოტენჰემ კორტ როუდზე ეგდო კაბანამოხდილი და ონანიზმით იქცევდა თავს. ითხრიდა განურჩევლად ყველაფერს – სანთლებს, საზეიმო ფოიერვერკის მაშხალებსა და კარის სახელურებს. მისი მოსაწონი და სარგო ფალოსი მთელ ქვეყანაში არ მოიპოვებოდა, არსად! წარმოგიდგენიათ? არც ერთი და არსად! კაცებს შეეძლოთ, თავფეხიანად შესძვრომოდნენ შიგნით და იქვე დარჩენილიყვნენ, მხართეძოზე წამოგორებულები. ლონას გასაშლელი ფალოსები სჭირდებოდა, თვითფეთქებადი რაკეტები, ლუქისა და კრეოზოტის გავარვარებული მასები. რომ მიგეშვა, სიამოვნებით მოგაჭრიდა ასოს და სამუდამოდ შიგ ჩაიტოვებდა. მოკლედ, ლონა რომ ყლის გიჟი იყო, ეგეთი მილიონში ერთი თუ მოიძებნება! ნამდვილი ლაბორატორიულად შესასწავლი ეგზემპლარი გახლდათ; თუმცა მის რაგვარობას ლაკმუზის ქაღალდით ვერ დაადგენდი. თანაც მაგარი მატყუარა აღმოჩნდა. თავის დღეში არ უყვია სანოლი მეფე კეროლისთვის. საწყალს ვისკის ბოთლი დაუშვა თავზე და ასე დაადგა სამეფო გვირგვინი, თაღლითობით და ტყუილი დაპირებებით აიყვანა ტახტზე. იმ უბედურს ისლა დარჩენოდა, ლონას გენიტალიებში შეეყუჟულიყო და იქ გაეცხო

---

<sup>1</sup> გაუგონარი ზომის (ფრანგ.).

სული... მერე კი ლონამ ერთი ამოიოხრა და მისმა საშომ უდღეური, მოწყვეტილი ნაყოფივით გამოაძევა ის შავ ვარსკვლავზე გაჩენილი.

უზარმაზარი, მსუქანი წერილები, avec des choses inouies. უსაკეტო ჩემოდანი. საკეტის ხვრელი გასაღების გარეშე. გერმანული ტუჩ-კბილი, ფრანგული ყურები და რუსული უკანალი. საერთაშორისო მნიშვნელობის მუტელი! როგორც კი ბაირაღს აღმართავდი, მაშინვე გავარვარდებოდა. ჰოდა, შენც შეხვიდოდი შიგ ყიულ ფერის ბულვარიდან და პორტ დე ლა ვილეზე გამოხვიდოდი; თანაც, გზადაგზა საკუთარი, ასო-ასო აქნილი სხეულის ნაწილებს გილიოტინის ორთვალაზე გადაისროდი, რომელიც, ბუნებრივია, წითელი ფერისა იყო. ერთგან, სადაც მდინარე ურკი მარნს ერთვის და სადაც ჯებირიდან გადმოღვრილი წყალი ხიდქვეშ მინისებრი ხდება, არხი დამტვრეული შუშის ნატეხებით და ფიჩხით არის ამოვსებული. სწორედ იქ გდია ახლა ლონა, ატირებული მიმოზებისა და ჩამოტრანული შუშაბანდების მიდამოებში. ლონა! – მილიონში ერთი, მუტელთ მუტელი მინის ტრაკით, რომელშიც, თუ ჩაიხედე, მთელი შუა საუკუნეების ისტორიას ამოიკითხავ.

მოლდორფი, ერთი შეხედვით, კაცი კი არა, კარიკატურაა: ჩიყვისაგან გადმოკარკლული თვალებით, გადმობრუნებული ღრუნჩითა და ბარდის წვნიანივით წყალწყალა ხმით. ჟილეტის ქვეშ პატარა, მსხლის ფორმის ქისა ჰკიდია. როცა კი შეხედავ, თვალწინ უცვლელი პანორამა გადაგეშლება: ჭადრაკის ფიგურის ფორმის, სპილოს ძვლისაგან დამზადებული ნეცკე-საბურნუთე და რელიგიური მოტივებით მოხატული მარაო. იმდენი ხანია, ფერმენტაციის პროცესს განიცდის, რომ უკვე ამორფული გახდა. ვიტამინგამოცლილი საფუარი. კაუჩუკის ხის გარეშე დარჩენილი კაუჩუკის ხის ქოთანია.

მდებრებმა მოლდორფის მნიშვნელოვანი წინაპრების როლი რამდენჯერმე მოირგეს და მას ჭეშმარიტად მშობლიური მზრუნველობა გაუნიეს: ორჯერ მეცხრე საუკუნეში და ერთხელაც – რენესანსის ეპოქაში. ებრაელთა დიდი დარბევების დროს მისი გენი ხან ყვითელმა დიაცმა იღო მუცლად, ხანაც თეთრმა ატარა და ასე

გადაარჩინეს. ხოლო უხსოვარ დროს, იმაზე ბევრად ადრე, ვიდრე მოსე ებრაელებს ეგვიპტიდან წამოასხამდა, ერთ თათარსაც ჩაუფურთხებია საბრალოს სისხლში.

მოლდორფიც იმ დილემის წინაშე აღმოჩნდა, რომლის წინაშეც ყველა ქონდრისკაცი აღმოჩნდება ხოლმე. მისი გადმოკარკლული თვალები საკუთარ სილუეტს უზარმაზარ ეკრანზე პროეცირებულს ხედავენ. მოლდორფის ქინძისთავისოდენა გოგრის უტრირებული ანარეკლი, რომელიც მისივე ხმასთანაა შეწყობილი, საცოდავის სრულ ინტოქსიკაციას იწვევს – ის, რაც სხვებისთვის თავისი წრიპინია, ლომის ბრდღვინვად ჩაესმის.

მისი გონება ის ამფითეატრია, სადაც მსახიობი მრავალფეროვან და მრავალმხრივ სახეებს ქმნის. მოლდორფი – ერთობ მრავალმხრივი და მარად შეუცდომელი – საკუთარ სცენაზე უამრავ როლს ასრულებს: ტაკიმასხარას, ჟონგლიორის, ადამიანი-გველის, მოძღვრის, ღვთისპირიდან გადავარდნილი გარყვნილის და გაიძვერა მკურნალის. ამფითეატრი პანანკინტელაა, მაგრამ დინამიტით ამოვსებული; ამფითეატრის აუდიტორია კი – დაბოლილი და ნებელობანართმეული.

უმედეგოდ ვცდილობ მოლდორფამდე მიღწევას. რალა მოლდორფამდე მიგიღწევია და რალა – ღმერთამდე, რადგან მოლდორფი ღმერთია, უფრო ნაკლებს არასოდეს დათანხმდება. მე ახლა, უბრალოდ, სიტყვები გადამაქვს ქალღმერთს...

მოლდორფზე გარკვეული წარმოდგენა მქონდა, რომელიც უკუვაგდე; მერე სხვა წარმოდგენები გამიჩნდა, რომლებიც ჯერ კიდევ გადასახედია. სულ ერთი წამით მოვიხელთე და მაშინვე მივხვდი, რომ თურმე ნების ხოჭო კი არა, ჭრიჭინობელა ყოფილა. ჯერ საკუთარი უხეშობითა და ვულგარულობით დამთრგუნა, მერე დელიკატურობით შემალონა. ჯერ ქაქანით მოიკლა თავი, მერე კი მდინარე იორდანესავით გაირინდა.

ჩემკენ მოსასალმებლად რომ წამოცუნცულდება ხოლმე თათებგაშლილი, ოფლიანი თვალებით, ისეთი გრძნობა მეუფლება, თითქოს მე ახლა უნდა შევხვდე... არა, ვერ მოვახერხებ ასე სხარტად და მსუბუქად აღწერას!



„Comme un oeuf dansant sur un jet d'eau.“<sup>2</sup>

მხოლოდ ერთი ხელჯოხი აბადია, ისიც – საშუალო სიტურფის, ჯიბეები კი ქალღმრთის ნაკუნებზე დაჯღაბნილი Weltschmerz<sup>3</sup>-ის სამკურნალო რეცეპტებით აქვს გამოტენილი. ახლა უკვე გამოჯანმრთელდა და პატარა გერმანელი გოგონა, რომელიც ფეხებს ბანდა, ფრიად გულგატეხილია. მოკლედ, ნამდვილი ბატონი არარაობაა, რომელიც აქეთ-იქით გუჯარათის ლექსიკონატატებული დასუნსულებს. „საყოველთაოდ გარდაუვალია“, რაც, ცხადია, „სწორუპოვარს“ ნიშნავს. ბოროტესკი ამ ყველაფერს ვერასოდეს ჩასწვდება. ბოროტესკის კვირის ყოველი დღისთვის სხვადასხვა ხელჯოხი მოეპოვება, და ერთიც განსაკუთრებული – სააღდგომო.

მე და მოლდორფს იმდენი საერთო გვაქვს, რომ ზოგჯერ ვფიქრობ, საკუთარ თავს გაბზარულ სარკეში ხომ არ ვხედავ-მეთქი.

ჩემს ხელნაწერებს გადავხედე – მრავალგზისი ფურცვლით გვერდებპრეხილ ხელნაწერებს, ასე ვთქვათ, ლიტერატურულ თაბახებს – და, მართალი გითხრათ, გულზე შემომეყარა, ისე ძალიან ვგავარ მოლდორფს. ჩვენ შორის ერთადერთი სხვაობა ის არის, რომ მე უფრო წარმართი ვარ, ანუ ნაკლებად ებრაელი. წარმართები სხვაგვარად მარტვილობენ, ე. წ. ნევროზების გარეშე, და როგორც სილვესტერი ბრძანებს, ადამიანი, რომელსაც ნევროზი არ შეჰყრია, მარტვილობის ნამდვილ არსს ვერასოდეს შეიცნობს.

კარგად მახსოვს, საკუთარი ტანჯვით როგორ ვტკებობდი. საწოლში ლომის ბოკვერთან ერთად წოლას ჰგავდა, დროდადრო ბრჭყალს რომ გაგკრავს და მაშინ იცოცხლე, გვარიანად შეშინდები. ისე კი, მაინცდამაინც არ გეშინია, რადგან ყოველთვის შეგიძლია საწოლიდან გადმოაგდო ან სულაც, საწოლშივე მიახრჩო.

არსებობს ხალხის გარკვეული კატეგორია, რომელიც ლამის ესწრაფვის მხეცების გალიაში მოხვედრას; უნდათ, რომ ამ უკანასკნელებმა ნაკუნ-ნაკუნ დაგლიჯონ. პირდაპირ შედიან, პისტო-

<sup>2</sup> გამდინარე წყლის ჭავლში აცეკვებული კვერცხივით (ფრანგ.).

<sup>3</sup> მსოფლიო სევდა (გერმ.).

ლეთისა და მათრახის გარეშე. მათ დაუძლეველი შიში შიშს აძლევინებს... ებრაელისთვის სამყარო ერთი დიდი, მხეცებით სავსე გალიაა. გალიის კარი ჩარაზულია და თვითონ შიგნით არის მომწყვდეული, ცხადია, ყოველგვარი მათრახისა და რევოლვერის გარეშე. ისეთი მამაცია, რომ გალიის კუთხეში დახვავებული სკორის სიმყრალეც კი არ ანუხებს. მაყურებელი ოვაციებად იღვრება, მაგრამ არც ამ ოვაციების ხმა ესმის. მისი აზრით, დრამა გალიის შიგნით ვითარდება. გალია, მისივე ღრმა რწმენით, თავად სამყაროა. დგას ასე, უიარალო და უმწეო, კარჩაკეტილ გალიაში, და ხვდება, რომ ლომებს მისი ენა არ ესმით. არც ერთმა მათგანმა არ იცის, ვინ იყო სპინოზა. რა სპინოზა?! სპინოზა არ იჭმება. „ხორცი მოიტა, ხორციი!“ – ღრიალებენ ლომები, კაცი კი დგას – მედგრად და ჯიუტად. მისი Weltanschauung<sup>4</sup> ლომებს ტრაპეზად ვერ გამოადგებათ. თათის ერთი მოქნევა და – ფაფუ, მისი კოსმოგონია.

ლომებიც იმედგაცრუებული არიან. სისხლი სწყურიათ, ძვლების, ხრტილების და მყესების დაღრღნა ენატრებათ. დგანან და უაზროდ ილეჩებიან და ილეჩებიან, რადგანაც სიტყვები კევია, და კევის მონელება შეუძლებელია. საღეჭად გემრიელი რომ იყოს, შაქარი უნდა მოაყარო და პიტნითა და ძირტკბილათი შეაზავო. მერე, პეპსინსაც თუ დაუმატებ, შეიძლება მოინელო კიდეც. კევის პირველად მომჩენებმა ჩაძირული კონტინენტის უღელტეხილი გადმოლახეს და თან ალგებრული ენა მოიტანეს. მერე არიზონის უდაბნოში ჩრდილოელ მონღოლებს გადაეყარნენ, ბადრიჯანივით რომ უბზინავდათ პირისახე. მას მერე, რაც დედამიწამ გიროსკოპული მოყვანილობა მიიღო – როცა გოლფსტრიმისა და კურო-სივოს გზები გაიყო – *მეკევეებმა* ახალ ნიადაგში ტუფის საბადო აღმოაჩინეს და საკუთარი ენის ნიშნებით მოქარგეს მიწის ნიალი. ბოლოს ერთმანეთის დაუნდობლად ქამაზე გადავიდნენ და მიწამ უყოთ პირი – მათ ძვლებზე, დაღენილ თავის ქალებსა და ტუფზე ამოტვიფრულ გამოსახულებებზე ტყე ამოიზარდა. მათი ენა დაიკარგა, იმ ადგი-

---

<sup>4</sup> მსოფლმხედველობა (გერმ.).

ლებში კი დღემდე პოულობენ პატარა სამხეცის კვალს – შუბლის ძვლებზე ამოკანრულ ფიგურებს.

ნეტავ ამ ყოველივეს შენთან რა კავშირი აქვს, მოლდორფ? ცხადია, ახლა ენაზე გადგას სიტყვა *ანარქია*. ჰოდა, თქვი ბარემ, რაღას უცდი? რახანია, გელოდები. ერთმანეთს ხელს რომ ვართმევთ, ვერავინ ხედავს, ოფლის რა მდინარეებს ვღვრით. ვიდრე შენ, დუჟმორეული, ოდნავ ღია პირით, გონებაში ფრაზას ალაგებ, მე ნახევარი აზია შევაჯერე. მე რომ ახლა ეგ საშუალო სიტურფის ხელჯოხი წამერთმია და შენთვის ფერდი გამეხვრიტა, იმდენ მასალას შევაგროვებდი, ბრიტანეთის მუზეუმს გაავსებდა. ჩვენი ცხოვრება საწუთროა და საუკუნეების შთანთქმა კი გვინდა. შენ ის საცერი ხარ, რომელშიც ჩემი ანარქია იცხრილება და სიტყვებად ყალიბდება. სიტყვების მიღმა კი ქაოსია. თითოეული სიტყვა ერთი პატარა ძაფია, მაგრამ იმდენი ძაფი მაინც ვერ მოიძებნება, გამძლე ბადე რომ მოქსოვოს კაცმა.

ჩემი არყოფნისას ფარდები დაუკიდიათ. ლიზოლში ამოვლებულ ტიროლურ სუფრებს წააგავს. ოთახი დანკრიალებულია. საწოლზე ვზივარ, გაოგნებული, და დაბადებამდელ ადამიანზე ვფიქრობ. უცებ ზარებს ჩამოჰკრავენ; გრძნეული, ჭეშმარიტად ღვთიური მუსიკა ჩამესმის და ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ცენტრალური აზიის სტეპებში აღმოვჩნდი. ზოგი ზარი გრძელ, მდორე ხმას გამოსცემს, სხვები მოკლე-მოკლედ, სიმთვრალით გულაჩვილებული კაცივით ზლუქუნებენ. ზარების რეკვა წყდება და ისევ სიჩუმე ისადგურებს. თუმცა ბოლო ბგერა ჯერაც ჟღერს და ღამის სიჩუმეს ოდნავ ფხაჭნის; ჩუმი ბგერაა, მინავლებული ცეცხლის ბოლო ამოფშვინვასავით.

საკუთარ თავს სიტყვა მივეცი, რომ ნაწერებში ერთი სტრიქონიც არ შევცვალო. ჩემი აზრების თუ ქმედებების გაპატიოსნების სურვილი არა მაქვს. ტურგენევის სრულყოფილებას დოსტოევსკის სრულყოფილებას დავუყენებდი გვერდით (განა „მარად ქმარზე“ სრულყოფილი შეიძლება რამე არსებობდეს?). გამოდის, რომ ხე-

ლოვნების ერთსა და იმავე დარგში შესაძლებელი ყოფილა ორი ტიპის სრულყოფილების თანაარსებობა. მაგრამ ვან გოგის წერილებში რომ სრულყოფილებაა, ამ ორივეს აჯობებს, რადგან ეს პიროვნების ხელოვნებაზე გამარჯვებით მიღწეული სრულყოფილებაა.

ამჟამად ერთადერთი სასიცოცხლო ინტერესი მამოძრავებს – იმის წარმოჩენა მინდა, რაც წიგნებში, ჩვეულებრივ, გამოტოვებულია ხოლმე. როგორც ვხედავ, ჯერჯერობით არავის მოსვლია აზრად იმ ელემენტების ლიტერატურაში გამოყენება, რომლებითაც ჩვენი სასუნიტეი ჰაერია გაჯერებული და რომლებიც ჩვენი ცხოვრების რეალურ მოტივაციად და გზამკვლევად ქცეულა. გეგონება, მხოლოდ მკვლევებს შეუძლიათ მიიღონ ცხოვრებისაგან სიამოვნება. ჩვენი ეპოქა ძალმომრეობას ითხოვს, მაგრამ ჩვენამდე ძალმომრეობის მხოლოდ ნაგლეჯები თუ მოაღწევს ხოლმე. რევოლუციებია და – დასაწყისშივე ახშობენ; თუ ვერ ჩაახშეს, გამარჯვებით კი გვირგვინდება, მაგრამ მერე ვნებები ცხრება და კაცები, *comme d’habitude*<sup>5</sup>, ისევ ახალ იდეებს აფრქვევენ, თუმცა ისეთს არაფერს გთავაზობენ, რაც ოცდაოთხ საათზე მეტხანს მიიპყრობს შენს ყურადღებას. მოკლედ, ერთი თაობისათვის გამოყოფილი დროის ფარგლებში მილიონობით ცხოვრებით ცხოვრებას ვასწრებთ. ამას ენტომოლოგიურ ნიაღვრებს, ოკეანოლოგიას ანდა სულაც უჯრედულ დონეზე ცხოვრების შესწავლასაც თუ მივათვლით, უფრო მეტს მივიღებთ...

ტელეფონმა დარეკა და აზრი გამანყვეტინა. თუმცა, ალბათ, ბოლომდე ისედაც ვერ მივიყვანდი. ვილაცას ჩვენი ვილის დაქირავება უნდა...

ისე ვატყობ, ვილა ბორგეზედან აბარგება მომინევს. ეჰ, რას იზამ... ეგ არაფერი. ჩემს თაბახებს ავკრეფ და გზას გავუდგები, ცხოვრებას ძველებურად განვაგრძობ; უბრალოდ, სხვაგან ვიცხოვ-

---

<sup>5</sup> ჩვეულებისამებრ (ფრანგ.).